ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4897102

ნომერი: AR1735340

თარიღი : 19.02.2020

გაცემის თარიღი : 12.03.2020

გაცნობის თარიღი : 12.03.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქუჩა, N 19;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი ლომიძე პ/ნ 01025019733
- თბილისი, გაგარინის მე-2 შესახვევი #6 ბინა #9

ორგანიზაცია:
- ორჯ დადიანი კოდი: 405230110

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 აგვისტოს №3507814 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებაზე თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 19 თებერვლის NAR1735340 განცხადებით მომართა ირაკლი ლომიძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 31 აგვისტოს №3507814 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის მიერ 2017 წლის 31 აგვისტოს №3507814 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ქუჩა გამრეკელი N19-ის მიმდებარედ / ქუჩა გამრეკელი N19 / ქუჩა ი. გამრეკელი N19, N01.14.02.025.212 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 31 აგვისტოდან 2018 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 აგვისტოს №3507814 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. განმცხადებელი განმარტავს, რომ საზაფხულო ფართობის დათვლის დროს გამორჩენილია +42.20 ნიშნულის გეგმაზე დაფიქსირებული საზაფხულო ფართების კვადრატულობა, შესაბამისად ითხოვს საზაფხულო ფართობად 950.48 კვ.მ-ის ნაცვლად 1046.06 კვ.მ-ის დაფიქსირებას, ხოლო საერთო ფართობად 4007.64 კვ.მ-ის ნაცვლად 4103.22 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა შეისწავლა საპროექტო დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ 2017 წლის 31 აგვისტოს №3507814 ბრძანებაში არასწორად იქნა დაფიქსირებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ დადგენილ იქნა, რომ საზაფხულო ფართობად არასწორად დაფიქსირდა 950.48 კვ.მ, კერძოდ საზაფხულო ფართობის დათვლის დროს გამორჩენილია +42.20 ნიშნულის გეგმაზე დაფიქსირებული საზაფხულო ფართები (43.12 კვ.მ, 52.56 კვ.მ), აქედან გამომდინარე 950.48 კვ.მ-ს უნდა დაემატოს +42.20 ნიშნულის გეგმაზე დაფიქსირებული საზაფხულო ფართების (43.12 კვ.მ, 52.56 კვ.მ) კვადრატული ფართობები, რომელთა ჯამი (950.48 +43.12+52.56) გამოდის 1046.16 კვ.მ, შესაბამისად საერთო ფართობი 4007.64 კვ.მ-ის ნაცვლად იქნება 4103.32 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 აგვისტოს №3507814 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 აგვისტოს №3507814 ბრძანებაში და საზაფხულო ფართობად მიეთითოს 1046.16 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობად 4103.32 კვ.მ.
2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 აგვისტოს №3507814 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 აგვისტოს №3507814 ბრძანებასთან ერთად.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.